ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 80
11/12/2017

80-04-4-201712111615

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძე) თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების 11 (თერთმეტი) ერთეული სარწყავი წყლის არხის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.
2. დანართი N1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი N1

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
სარწყავი წყლით მომარაგების ხაზოვანი ნაგებობების
მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი

N	ქონების დასახელება	სარწყავი არხების მისამართი, დაფარვის ზონა	სარწყავი არხების გრძივი მეტრი	საკადასტრო კოდი	ქონების საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	სარწყავი არხი	სოფელი პირველი მაისი	1603.07	21.00.108	14428,00	
2	სარწყავი არხი	სოფელი ოქტომბერი	1011,72	21.00.140	9105,00	
3	სარწყავი არხი	სოფელი მერისი (რუსთავის უბანი)	848,05	21.00.142	7632,00	
4	სარწყავი არხი	სოფელი მერისი, მერიახევი	1234,92	21.00.109	11114,00	
5	სარწყავი არხი	სოფელი მერისი (დვალიძეების უბანი)	1795,07	21.00.139	16156,00	
6	სარწყავი არხი	სოფელი მერისი	1219,23	21.00.138	10973,00	
7	სარწყავი არხი	სოფელი მერისი (ორთამელა)	680,04	21.00.141	6120,00	
8	სარწყავი არხი	სოფელი ინაშარიძეები - ჭალიღელე	1212,05	21.00137	10908,00	
9	სარწყავი არხი	სოფელი კვაშტა	1661,03	21.00.131	14949,00	
10	სარწყავი არხი	სოფელი აბუქეთა	2607,21	21.00.535	23465,00	
11	სარწყავი არხი	სოფელი ტიბეთა	1735,98	21.00.099	15624,00	
ჯამი			15608,37		140474,00	